თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმი #14

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 6, სულ –27 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი №1).

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი
საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

2. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. დღის წესრიგში შევიდა ცვლილება – მიმდინარე საკითხებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ი. გაგნიძის წიადადებით დაემატა საკითხი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში გამოცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის კორექტირებული ვერსია.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 18 დეკემბრის #14 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი №1).

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი
საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მუხლები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ი. მესხია – მან დასვა კითხა,თუ როდის დააფინანსებს ბიუჯეტი მისი კათედრის მიერ ორი წლის წინ დაწყებულ სამუშაოს წიგნის თარგმნასთან დაკავშირებით.

ასოც. პროფ. ი.გაგნიძე – მან პროფ. ი. მესხიას უპასუხა, რომ ის არის კოორდიატორი სახელმძღვანელოების თარგმნასთან დაკავშირებით და აქვს ინფორმაცია, რომ 2016 წელს გამოცხადდა მორატორიუმი 2015 წელს დაწყებული სახელმძღვანელოების თარგმნაზე, რის საფუძელზეც 2016 წელს დაფინანსდება აღნიშნული წიგნის გამოცემა.

პროფ. ს. გელაშვილი – მან აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი არის საუკეთესო და დასვა კითხვა ოფისის ხარჯებთან და საცნობარო ლიტერატურასთან დაკავშირებით, რაზეც მიეცა განმარტება ბატონი ა. მიქაბერიძისგან.

პროფ. ე. მექვაბიშვილი – მან აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი საუკეთესოა და ორიოენტირებულია სტუდენტსა და პროფესორზე.

პროფ. ა. სილაგაძე – მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 16%–იანი ზრდის პირობებში უნდა მოხდეს შრომითი ანაზღაურების ზრდა მაშინ, როდესაც ლარის 30% დევალვაცია ფიქსირდება.

ასოც. პროფ. ლ. საბაური – მან აღნიშნა, რომ განსხვავება შრომით ანაზრაურებაში, რომელიც აქვს რესურსების მართვის სამსახურის უფროსს ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, არ არის მიზანშეწონილი და აქ უნდა მოხდეს მისი გამოთანაბრება.

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი თ. ბერიძე – მან აღნიშნა, რომ ახალ ბიუჯეტში ამ თანამდებობაზე შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება 1270 ლარით.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში გამოცემის შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ი. გაგნიძე/

ასოც. პროფ. ი. გაგნიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2015 წელს ჩატარებული რიგით მე-8 კონფერენცია მიეძღვნა ბათუმის უნივერსიტეტის 80 წლისთავს და საერთაშორისო სტატუსის გახდა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ორმა უცხოელმა მეცნიერმა, მოხსენებების რაოდენობა იყო - 35; მომზადდა 200 გვერდიანი კრებული, რომელიც დაისტამბა თსუ-ის გამომცემლობაში. გამომცემლობის რეკომენდაციის საფუძველზე გაიგზავნა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და მიენიჭა ISSN კოდი.

22 ოქტომბრის #11 ფაკულტეტის საბჭოზე ამ საკითხის განხილვისას დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია ყოველწლიურად ერთი და იმავე დასახელების კონფერენციის ჩატარება. მე-9 საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების იდეა თვით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთაგან წარმოიშვა. ბათუმის კონფერენციამ აჩვენა, რომ რეგიონში კონფერენციის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იქ თსუ-ის მხარდაჭერას გრძნობენ შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლები. გასათვალისწინებელია ის, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების ფაკულტეტები ახლად დაარსებულია (ძველად ამ უნივერსიტეტების პედაგოგიური პროფილის გამო) და ეს ძალიან მნიშვნელოვანია;

ქ-მა ი. გაგნიძემ აღნიშნა, რომ რექტორთან, ბატონ ვლადიმერ პაპავასთან ქუთაისის კონფერენციის საკითხი უკვე შეთანხმებულია. მან გამოთქვა მხარდაჭერა, რომ მე-10 საიუბილეო კონფერენცია გაიმართოს თსუ-ში.

2016 წლის იანვრიდან ტელევიზიით ,,ქართული არხი" დაიწყება ამ თემატიკაზე გადაცემების ციკლი, სადაც თსუეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტის პერსონალი და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ი. მესხია – მან აღიშნა, რომ 10 წლის წინ საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქთან შეხვედრის დროს გადაწყდა და შემდგომ წარმატებულად განხორციელდა სემინარები ,,ქრისტიანობა და ეკონომიკა". მან იკითხა, თუ რა თანხა არის საჭირო აღიშნული კონფერენციის კრებულის მოსამზადებლად, რაზეც მიიღო პასუხი, რომ 200 გვერდიანი კრებულის (ტირაჟით 100 ცალი) გამოცემის სავარაუდო ხარჯი არის 1000 ლარი.

პროფ. ს. გელაშვილი – მან წამოაყენა იდეა, რომ კონფერენციის დასახელება იყოს შემდეგი: ,,რელიგია და ეკონომიკა", რადგან შესაძლოა სხვა რელიგიის წარმომადგენლებსაც სურდეთ მონაწილეობის მიღება აღნიშნულ კონფერენციაში.

სხდომის თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე – მან აღნიშნა, რომ ის გაეცნო 2015 წლის კონფერენციის სტატიებს და თვლის, რომ მას აქვს მრავალი ასპექტი და ძალიან საინტერესოა, ამიტომ საბჭოს წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ აღნიშნულ საკითხს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:	მომხრე – 27
	წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი მე-9 საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ჩატარებისა და სამეცნიერო მოხსენებათა კრებულის თსუ-ს სტამბაში გამოცემის შესახებ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე	თ. ბერიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სწავლული მდივანი	მ. ნაცვალაძე